

### **Erlaubnistatbestandsirrtum**

Beim Erlaubnistatbestandsirrtum irrt der Täter über die sachlichen Voraussetzungen eines anerkannten Rechtfertigungsgrundes. Im **deutschen Recht** ist die Behandlung dieses Irrtums traditionell umstritten. Die strenge Schuldtheorie lässt keine Ausnahme von der Regel zu, wonach ein fehlendes Unrechtsbewusstsein nur für die Schuld Bedeutung haben kann, sodass § 17 dStGB anzuwenden ist. Daher entfällt nur im Fall der Unvermeidbarkeit des Irrtums die Schuld, während im Fall der Vermeidbarkeit lediglich eine Schuldminderung möglich ist. Dagegen nimmt die h.M. den Irrtum aus § 17 dStGB heraus, da den vermeidbar Irrenden nur ein Vorwurf trifft, der qualitativ einem Fahrlässigkeitsschuldvorwurf entspricht. Streitig ist, ob § 16 dStGB direkt (Lehre von den negativen Tatbestandsmerkmalen), analog (eingeschränkte Schuldtheorie) oder nur in den Rechtsfolgen (rechtsfolgenverweisende eingeschränkte Schuldtheorie) anzuwenden ist. Für Letzteres spricht, dass dem Vorsatz eine Doppelfunktion im Tatbestand und der Schuld zugewiesen werden kann, womit der Tatbestandsvorsatz nicht entfällt und die Fälle der Teilnahme sachgerecht erfasst werden können. Eine irrtümliche Vorstellung von der Rechtfertigung der Tat stellt auch im **georgischen Strafrecht** eine Form des Irrtums dar. Dabei stellt sich der Täter einen Sachverhalt vor, der die Tat rechtfertigen würde, wenn die vorgestellten Tatsachen Wirklichkeit wären (z.B. sog. Putativnotwehr). Die rechtliche Bewertung eines solchen Falles wird nach Art. 36 gStGB auf der Schuldebene getroffen, weil dem Täter das Unrechtsbewusstsein fehlt. Dabei herrscht im Schrifttum Uneinigkeit über die genaue dogmatische Begründung. War der Irrtum unvermeidbar, scheidet die Strafbarkeit komplett aus. Beim vermeidbaren Irrtum wird der Täter wegen einer fahrlässige Tat verfolgt. (Mwa/Bji)

### **შეცდომა მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავი გარემოების არსებობასთან დაკავშირებით**

ამ შეცდომის დაშვებისას ამსრულებელი ცდება მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავი რომელიმე გარემოების არსებობასთან დაკავშირებით. გერმანულ სისხლის სამართალში ამ საკითხის გადაწყვეტა საკამათოა. განზრახვის თეორიის მიხედვით, უმართლობის შეგნების არარსებობა გავლენას ახდენს ბრალის არსებობაზე და შესაბამისად, საკითხი გსსკ-ის მე-17 მუხლით წყდება. თუ შეცდომა მისატყვევებელი იყო, მაშინ ბრალი საერთოდ გამოირიცხება, მიუტყვევებელი შეცდომის დაშვებისას კი შესაძლებელია სასჯელის შემსუბუქება. გაბატონებული მოსაზრება კი საკითხს განსხვავებულად უდგება და მსგავსი შეცდომის შეფასებას ახდენს გსსკ-ის მე-17 მუხლის მიღმა, ვინაიდან მიუტყვევებელი შეცდომის დაშვები პირის ქმედება თავისი არსით გაუფრთხილებლობას უტოლდება. საკამათოა ის საკითხი, თუ უშუალოდ რომელი თეორიით უნდა დასაბუთდეს ეს მიდგომა, პირდაპირ გერმანიის გსსკ-ის მე-16 მუხლის გამოყენებით (თეორია დანაშაულის ნეგატიური ნიშნების შესახებ), მისი ანალოგიით (შეზღუდული

## Deutsch-Georgisches digitales strafrechtliches Glossar გერმანულ-ქართული სისხლის სამართლის ციფრული გლოსარი

ბრალის თეორია), თუ სამართლებრივი შედეგების ჭრილში (სამართლებრივ შედეგებთან დაკავშირებული შეზღუდული ბრალის თეორია). ამ უკანასკნელის სასარგებლოდ მეტყველებს ის, რომ განზრახვას აქვს ორმაგი ფუნქცია, ქმედების შემადგენლობისა და ბრალის ფარგლებში. შესაბამისად, ამ მიდგომით, ქმედების შემადგენლობის განზრახვა არ გამოირიცხება და თანამონაწილეობის დასჯადობაც შესაძლებელია. შეცდომის ეს სახე ქართული სისხლის სამართლისთვისაც არ არის უცხო. პირს გონია, რომ მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავი რომელიმე გარემოების ფარგლებში მოქმედებს (მაგ. მოჩვენებითი აუცილებელი მოგერიება). კვალიფიკაციის საკითხის გადაწყვეტა ხდება სსსკ-ის 36-ე მუხლის საფუძველზე, ბრალის ეტაპზე, ვინაიდან ამსრულებელს არ აქვს მართლწინააღმდეგობის შეგნება. თუმცა, კონკრეტულ დასაბუთებასთან დაკავშირებით, ლიტერატურაში სხვადასხვა განსხვავებული მოსაზრება არსებობს. თუ შეცდომა მისატევებელი იყო, დასჯადობა სრულად გამოირიცხება. მიუტევებელი შეცდომის დაშვებისას კი პირი გაუფრთხილებლობისთვის აგებს პასუხს. (Mwa/Bji)